



IBSU

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი თურქული
ფილოლოგიის მიმართულება**

**თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში ლექსიკური მარაგის შესწავლის
საწყის დონეზე სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენება**

ბექირ გუჩლუ

სადოქტორო ნაშრომის გაფართოვებული რეზიუმე

თბილისი, 2017

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორ დოქტორ ილიას უსთუნიერ (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

თანახელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დოქტორ

მუსთაფა არსლან (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

(თანახელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება)

1. ასოცირებული პროფესორი მეჰმეთ სელიმ აიჰან

2. ასოცირებული პროფესორი მუზაფერ ქირი

ოპონონტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება):

1. პროფესორი დოქტორი მარიკა ჯიქია

2. ასოცირებული დოქტორი ელიზაბედ ბჟალავა

**თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში სუგესტოპედიის მეთოდის
გამოყენება ლექსიკური მარაგის შესწავლის დაწყებითი დონეზე**

რეზიუმე

ტერმინი - “სუგესტოპედია“ ნაწარმოებია ინგლისური სიტყვებისგან suggestion (რჩევა, შთაგონება) და pedagogy (პედაგოგია, სწავლება). აღნიშნული მეთოდი გულისხმობს მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისადმი ცოდნის უფრო ეფექტურად გადაცემას თავისუფალ და კომფორტულ გარემოში. მეთოდი მიზნად ისახავს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და ამის შედეგად მათი აღქმითი შესაძლებლობების გაზრდას. იგი ემყარება ადამიანის დასწავლის შესაძლებლობის მაქსიმალურად აქტივაციის პრინციპს.

სუგესტოპედიის მეთოდი თავდაპირველად დაინერგა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა რუსეთი, ბულგარეთი, გერმანია და უნგრეთი. 1970-იანი წლებიდან მოყოლებული კი იგი დაინერგა დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც. მეთოდი დაინერგა და წარმატებით განხორციელდა ამერიკის, კანადის, ინგლისისა და საფრანგეთის მრავალ სასწავლებელში. მიუხედავად იმისა, რომ სუგესტოპედიის მეთოდი წარმოადგენს თანამედროვე სწავლების მეთოდებიდან ერთერთს, იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში დანერგვისა და გამოყენების შესწავლის საგანი.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ის, თუ რომელი საბაზისო კომპეტენციების ფარგლებში ხდება ლექსიკური მარაგის უკეთ დასწავლა და მოსწავლეთა მოტივირება თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების საწყის საფეხურზე სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენებისას. ამ მიზნით სუგესტოპედიის მეთოდი გამოყენებულ იქნა წაკითხვა-გაგება, მოსმენა-გაგება და მეტყველება-გაგების კომპეტენციების განვითარებისას. ნაშრომის ბოლოს მოტანილი ტესტების შედეგებიდან დასტურდება, რომ იმ საექსპერიმენტო ჯგუფში, რომელშიც გამოიყენებოდა სუგესტოპედიის მეთოდი, გაცილებით მაღალი შედეგები იქნა

მიღწეული ლექსიკური მარაგის შესწავლის კუთხით, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში, რომელშიც ხსენებული მეთოდი არ ყოფილა გამოყენებული.

გასაღები ტერმინები: თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლება, ენის დასწავლის კომპეტენციები, ენის სწავლების თეორიები, სუგესტოპედია, სიტყვათა დასწავლა.

შესავალი

თურქული ენის შესწავლა ისეთივე ძველი ცნებაა, როგორც თავად ენის წარმოშობა და იგი ამასთანავე ყოველთვის იყო კულტურათა შორის კომუნიკაციისა და დიალოგის საშუალება. საზოგადოებები ამა თუ იმ უცხო ენის შესწავლისას რიგ დაგეგმილ თუ დაუგეგმავ ქმედებებს მიმართავდნენ. ისტორიულ ჭრილში განხილვის შედეგად უცხო ენათა სწავლების კონტექსტში იკვეთება განსხვავებული მიდგომების არსებობა. ეს მიდგომებია: გრამატიკა-თარგმნის მეთოდი, პირდაპირი სწავლების მეთოდი, სიტუაციური დასწავლის მეთოდი, შეჩვევით აღქმა-დასწავლის მეთოდი. ჩამოთვლილ მეთოდთა პარალელურად დღესდღეობით გამოიყენება უცხო ენის სწავლების ისეთი მეთოდი, რომელიც გულისხმობს დამსწავლელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებასა და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდიკას ზოგადად. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ფიზიკური რეაქციების, სუგესტოპედიისა და არავერბალური მეთოდები. აღნიშნული მეთოდების მიზანია მოსწავლეზე და ურთიერთქმედებაზე ორიენტირებული მოდელის შექმნით ენის სწავლების კუთხით მაქსიმალური შედეგების მიღწევა (Tosun, 2006).

რიჩარდის (Richards, 2001) მიხედვით იმისთვის, რომ ეფექტურად განხორციელდეს სწავლების პროცესი აუცილებელია, რომ დასასწავლი მასალა მოსწავლეს მიეწოდოს მისთვის საინტერესო ფორმით. ინდივიდზე ორიენტირებულმა მიდგომებმა ძირეულად შეცვალეს ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების პარადიგმა. არავერბალური, სუგესტოპედიისა და კომუნიკაციური მიდგომები უცხო ენის სწავლებაში წარმოადგენენ ინდივიდზე ორიენტირებულ

სწავლების მეთოდებს (Brown, 2007). ჩამოთვლილი მეთოდები გულისხმობენ მოსწავლეთა ემოციონალურ მხარეებზე მეტი აქცენტის გაკეთებას და მათი თავდაჯერებულობისა და გამბედაობის აქტივირებას. მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლების ამ მეთოდში უმთავრესი ასპექტებია მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები და მისწრაფებები, სწავლების გარემო და მოტივაცია. სწავლების თანამედროვე მიდგომებმა მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობების კონტექსტში განსხვავებული განზომილება შეიძინა და მასწავლებლის როლმა პროცესის მაკონტროლებლიდან პროცესისათვის მიმართულების მიმცემისაკენ გადაინაცვლა (Niyazi, 1998).

სუგესტოლოგია, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდი შემოღებულ იქნა 1960-იანი წლების ბოლოს ბულგარელი ფსიქოლოგის გეორგი ლოზანოვის მიერ და მისი ეფექტურობა დამტკიცებულ იქნა რიგი სამეცნიერო კვლევების შედეგად. პირველად აღნიშნული მეთოდი ლოზანოვის მიერ გამოყენებულ იქნა 1966 წელს სოფიაში ინგლისურის, იტალიური და ფრანგული ენების სწავლებისას. 1970-იანი წლების დასაწყისისთვის ლოზანოვის მეთოდით დაინტერესება დაიწყო ევროპელმა და ამერიკელმა ექსპერტებმა. ყოველივე ამის შედეგად უცხო ენების სწავლების პროცესში სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩატარდა რიგი გამოკვლევებისა.

1972 წელს ტორონტოს უნივერსიტეტმა სუგესტოპედიის მეთოდის შესწავლის მიზნით ბულგარეთში ექსპერტთა ჯგუფი გააგზავნა. მომდევნო წელს კი კანადის განათლების სამინისტრომ დაიწყო მეთოდის გამოყენება კანადის საგანმანათლებლო დაწესებულებებში (Bancroft, 2005). გარდა ამისა, 1975 წელს, ამერიკის ქალაქ ლოს ანჟელეს-ში ჩატარდა სუგესტოპედიის კონგრესი. აღნიშნულ კონგრესზე ლოზანოვმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მის მეთოდში შეტანილ იქნა გარკვეული სახის ცვლილებები და რომ მისი გამოყენება დაიწყო სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

1978 წელს, UNESCO-ს მიერ სუგესტოპედიის მეთოდი აღიარებულ იქნა როგორც იქამდე არსებულ სწავლის მეთოდებზე უფრო ეფექტური და სრაფი მეთოდი. მოგვიანებით, აღნიშნული მეთოდის დანერგვით ამერიკასა და ევროპაში დაარსდა შესაბამისი ენათა სკოლები. ამერიკის შეერთებულ შტატებში მეთოდის გამოყენებელმა ექსპერტებმა დააარსეს ჟურნალი, სახელწოდებით SALT (Suggestion Activated Learning and Teaching (Bancroft, 2005).

კვლევის მიზანი

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური სიახლეებისა და გლობალიზაციის პარალელურად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს უცხო ენათა სწავლება (Başkan, 2006). ინდივიდთა უმრავლესობას სურს იცოდეს თუნდაც ერთი უცხო ენა. უცხო ენის სწავლების საკითხი სერიოზულად აღიქმება და დაწყებითი განათლების მეორე კლასიდან უკვე მზადდება უცხო ენების პროგრამები. ამასთანავე, უცხო ენათა ცალმხრივი პროგრამები და სწავლების მეთოდები ვეღარ პასუხობენ დროის მოთხოვნებს (Davis, 2007). ჩატარებული კვლევები ცხადყოფენ, რომ შეუძლებელია დასახული ამოცანების შესრულება უცხო ენათა სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინების გარეშე (Bass, 1985).

სწავლების თანამედროვე მეთოდიკა მიზნად ისახავს ინდივიდუალური თავისებურებებისა და მოტივაციის წინა პლანზე წამოწევას. სუგესტოპედიის მეთოდი იძლევა სწავლის პროცესისადმი მოსწავლეთა დადებითად განწყობისა და საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად მასალის აღქმის საშუალებას (Larsen-Freeman, 2014). მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენებას თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში და მის შედარებას სხვა სწავლების მეთოდებთან. კერძოდ, მეთოდი გამოყენებულ იქნება სწავლის საწყის საფეხურზე ლექსიკური მასალის ათვისების მეთოდიკის კონტექსტში.

კვლევის ლიმიტაციები

უკანასკნელი წლების განმავლობაში მრავალი კვლევა ჩატარდა იმის გამოსავლენად, თუ რომელი მეთოდია ყველაზე ეფექტური თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების ფარგლებში. მოცემული ნაშრომი ფოკუსირებას ახდენს ორ ძირითად პრობლემატურ კითხვაზე.

1. თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში სუგესტოპედიის მეთოდიკის გამოყენებით წაკითხვა-აღქმა, მეტყველება-აღქმა და მოსმენა-აღქმის კომპეტენციების კონტექსტში ლექსიკური მარაგის დასწავლისას მოტივაციის ხარისხის დადგენა.
2. თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების საწყის საფეხურზე სუგესტოპედიის მეთოდის ეფექტურობის დადგენა.

კვლევის აქტუალურობა

ზოგადად, თურქეთში უცხოელთათვის თურქული ენა ისწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოსამზადებელი კურსების ფარგლებში და სწავლების ვადაა ორი აკადემიური სემესტრი. სწავლების საწყის ეტაპებზე როგორც წესი მოსწავლეები ავითარებენ ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა მოსმენა, მასალის ჩაწერა, დავალების მომზადება და მასალის პრეზენტაცია. ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით აუცილებელია გარკვეული რაოდენობის ტექნიკური და სასაუბრო ლექსიკური მარაგის ათვისება. მიუხედავად ამისა, მოსამზადებელ კურსებზე სათანადო ყურადღება არ ეთმობა ლექსიკური მასალის ათვისებას რისი ნაწილობრივი მიზეზიცაა დროის ნაკლებობა და გრამატიკული მასალის სიმარტივე. ახალი სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების დასწავლა მოსწავლეთა მხრიდან აღიქმება, როგორც დროის კარგვა, რადგანაც მიიჩნევენ, რომ ახალი სიტყვათშეთანხმებათა დასწავლა სურთულებს წარმოქმნის ზოგადად სინტაქსის ათვისების კუთხით (Gömlüksiz, 1999).

ამის ნაწილობრივი მიზეზია ისიც, რომ ენის სწავლების ტრადიციულ პარადიგმაში უპირატესობა ენიჭება გრამატიკის ზოგადი წესების დასწავლას. ტრადიციული მიდგომის ძირითადი პრინციპია მოსწავლეთა მხრიდან

სამეტყველო და წერილობითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის აუცილებელი საბაზისო გრამატიკული წესების დასწავლა. ლექსიკური მარაგის ათვისება განისაზღვრება როგორც არაპირდაპირი უნარ-ჩვევა, რომელიც აუცილებელია კითხვის, მეტყველებისა და მოსმენის კომპეტენციების განვითარებისათვის (Elliot, 1978).

მიუხედავად იმისა, რომ თურქული ენის სწავლისას მოსწავლეებს მიეწოდებათ საკმაოდ დიდი ლექსიკური მარაგი ათვისებისათვის, ისინი მაინც განიცდიან გარკვეულ სირთულეებს თავისუფლად მეტყველების მხრივ (Arslan M. , 2011). აქ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეებს არ მიეწოდებათ ყოველდღიური მეტყველებისათვის აუცილებელ სიტყვათა მარაგი (Nation, 2001). მწირი ლექსიკური მარაგი კი პრობლემებს ქმნის ისეთი კომპეტენციების განვითარების კუთხით, როგორცაა მეტყველება, მოსმენა და წერა, რადგანაც, ამ კომპეტენციათა განვითარებისათვის მთავარი ასპექტია საკმარისი ლექსიკური მარაგის ქონა.

თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების ფარგლებში გამოიყენება რიგი სწავლების მეთოდებისა, თუმცა, ჯერ არ ჩატარებულა საფუძვლიანი კვლევა თურქული ენის სწავლებაში სუგესტოლოგიის მეთოდის გამოყენების შესახებ. მოცემულ ნაშრომში განხილულია, თუ რომელი კომპეტენციის ფარგლებში იქნება სუგესტოლოგიის მეთოდის გამოყენება უფრო ეფექტური ლექსიკური მარაგის ათვისების კონტექსტში. ამ მიზნით შესწავლილ და შედარებულ იქნა სხვა ენებში სუგესტოლოგიის მეთოდის გამოყენების პრაქტიკები. შესწავლილია აგრეთვე ის ფაქტორიც, თუ რომელ ასპექტებში განსხვავდება აღნიშნული მეთოდის გამოყენების ხარისხი ლექსიკური მასალის ათვისების კუთხით სხვა თეორიებთან მიმართებაში.

კვლევის ინოვაციურობა

წარსულში თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლება ხდებოდა სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ამ მეთოდთაგან ყველაზე ინტენსიურად

გამოიყენებოდა გრამატიკული წესებისა და თარგმანის მეთოდი. ყველაზე ნაკლებად გამოყენებადი მეთოდი კი არის სუგესტოპედიის მეთოდი. მოცემული ნაშრომის ინოვაციურობასაც სწორედ აღნიშნული მეთოდის თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას გამოყენებას ეთმობა, რაც წარმოადგენს ნაშრომის ინოვაციურობას.

კვლევის ჰიპოთეზა

ნაშრომის ძირითად დებულაბას წარმოადგენს სწავლების სხვა მეთოდებთან შედარებით სუგესტოპედიის მეთოდის უფრო ეფექტურობა თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას ლექსიკური მარაგის ათვისების კუთხით.

კვლევაში გამოყენებული მეთოდები

საკუთხთან დაკავშირებული წყაროების გამოკვლევა, ანალიზი, შედარებითი ანალიზი, მიღებული სტატისტიური მონაცემების შეჯამება.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

დადგენილ იქნა, რომ სწავლების სხვა მეთოდებთან შედარებით სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენების შედეგად ლექსიკური მარაგის ათვისება ხდება უფრო მოკლე დროში და უფრო ეფექტურად. ასევე დგინდება ისიც, რომ აღნიშნული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა კომპეტენციების განვითარების კუთხით.

საკუთხთან დაკავშირებული ნაშრომების მიმოხილვა

ბანკროფტი (Bancroft, 2005), ნაშრომში სახელწოდებით “Suggestopedia and Language Acquisition: Variations on a Theme” აღნიშნავს, რომ ტერმინი “Suggestopedia” ნაწარმოებია ინგლისური სიტყვა Suggestion (რჩევა) და Pedia (სწავლება)-სგან. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდის ავტორმა ლოზანოვმა მეთოდის საფუძვლები პირველად ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში რომელიც გამოიცა 1971 წელს, ამერიკასა და ევროპაში აღნიშნული ნაშრომი მხოლოდ 1978 წელს იქნა გამოქვეყნებული. აღნიშნულ ნაშრომში არ იყო მოცემული ენის სწავლების დეტალური მეთოდიკა.

1981 წელს კი ლოზანოვმა მოამზადე კიდევ ერთი წიგნი საკითხთან დაკავშირებით სადაც ის დაწვრილებით ხსნის მისი მეთოდის დეტალებს (Lozanov,1978:55). 1988 წელს კი ლოზანოვი აქვეყნებს ნაშრომს სახელწოდებით “სუგესტოპედიის სახელმძღვანელო უცხო ენის მასწავლებელთათვის“.

ოზდემირი (Özdemir, 2006) საკუთარ სადოქტორო ნაშრომში სახელწოდებით “ახალი მიმართულებები უცხო ენის სწავლებაში“ განიხილავს ახალი მიდგომების მნიშვნელობას უცხო ენების სწავლების პროცესში. ნაშრომში განხილულია მოსწავლის პოზიცია და ახალი მეთოდების ეფექტურობა. გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელობა შეიძინა უცხო ენათა სწავლამ და შესაბამისად, აქტუალური გახდა უცხო ენების სწავლა-სწავლების აუცილებლობაც. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ენის სწავლების მეთოდები, მათ შორის სუგესტოპედიის მეთოდოლოგია.

ტეხასის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგად კასკი (Caskey (1976) მივიდა შემდეგ დასკვნამდე: “ჩართულობის მხრივ სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენებამ არ მოგვცა მაღალი შედეგები, თუმცა, გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნახევარს სუგესტოპედიის მეთოდოლოგია მიაჩნია მისაღებად. მოსწავლეთა მეორე ნაწილისთვის კი მისაღებია სწავლების ტრადიციული მეთოდი” (Caskey, 1976).

მოსწავლეთა პერფორმანსის შეფასებისას დადგენილ იქნა, რომ სუგესტოპედიის მეთოდის მიხედვით ინსტრუქცია მიცემულ მოსწავლეებს უფრო მაღალი ქულები ჰქონდათ მიღებული, ვიდრე ტრადიციული მეთოდოლოგიის ჯგუფების მოსწავლეებს. კასკიმ აღნიშნა, რომ ჩატარებული კვლევები ადასტურებენ ლოზანოვის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის ეფექტურობას.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საკითხთან დაკავშირებულ კვლევათა რაოდენობა არ არის დიდი, მისი ეფექტურობა განსაკუთრებით მტკიცდება საშუალო განათლებისა და კოლეჯების დონეზე.

გრიტონმა და ბორდონმა (Gritton ve Bordon, 1976) ჩაატარეს რიგი კვლევებისა მას შემდეგ, რაც ამერიკის სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყეს აღნიშნული მეთოდის დანერგვა და გამოყენება. მაგალითად, აიოვას შტატის Wilson Junior High School-ში შერჩეულ იქნა ერთი საექსპერიმენტო ჯგუფი რომელსაც მასალა მიეწოდებოდა სუგესტოპედიის მეთოდიკის მიხედვით, ხოლო ორი სხვა სკოლის ორ საკონტროლო ჯგუფში გამოიყენებოდა სწავლების ტრადიციული მეთოდიკა. ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ საექსპერიმენტო ჯგუფის მოსწავლეებს უკეთესი შედეგები ჰქონდათ, ვიდრე ტრადიციული მეთოდიკის ჯგუფებისას (Bordon, 1976).

1976 წელს შუსტერმა და ბორდონმა (Schuster ve Bordon, 1976) ჩაატარეს კვლევა აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღნიშნული კვლევის ფარგლებში სუგესტოპედიის მეთოდიკა გამოყენებულ იქნა ესპანურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას. საექსპერიმენტო ჯგუფს მიეწოდებოდა მასალები სუგესტოპედიის მეთოდიკის მიხედვით, ხოლო საკონტროლო ჯგუფს ტრადიციული სწავლების მეთოდიკის მიხედვით მომზადებული მასალა. შედეგად დადგენილ იქნა, რომ საექსპერიმენტო ჯგუფს გაცილებით მაღალი შედეგები ჰქონდა ვიდრე ტრადიციული მეთოდიკის ჯგუფებს (Schuster D. v., 1978)

თავი I

მოცემულ თავში განხილულია სუგესტოპედიური მეთოდის მეცნიერული საფუძვლები. მოცემულია სუგესტოპედიის ცნების განსაზღვრება, აღნიშნული მეთოდიკის ხელისშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები. აღნიშნულია ის, რომ სუგესტოპედიის მეთოდიკის სწორი ფორმით გამოყენება და მისი მეშვეობით დადებითი შედეგების მიღწევა შესაძლებელია ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. სუგესტოპედიური მეთოდიკის ცხოვრებისეული სიტუაციებისადმი ადექვატურად მისადაგების მიზნით აუცილებელია ჩამოთვლილი ფაქტორების ერთიანობაში და სისტემურად განხილვა.

უმთავრესი ასპექტი, რითიც ენის სწავლების პროცესში სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენების პრაქტიკა განსხვავდება ენის სწავლების სხვა მეთოდებისგან არის მუსიკის გამოყენება. ნაშრომის შესაბამის ნაწილში მოცემულია სწავლების პროცესში მუსიკის მნიშვნელობა ისტორიულ ჭრილში და მუსიკის გავლენა კოგნიტურ პროცესებზე. შედგომ ნაწილებში განხილულია მუსიკის კავშირი სუგესტოპედიასთან, ფსიქოლოგიასთან, მოტივაციასთან და მრავალმხრივ ინტელექტთან და ის, თუ რატომ გამოიყენება მუსიკა სუგესტოპედიის მეთოდში.

განხილულია აგრეთვე სუგესტოპედიის მეთოდის ისეთი ბაზისური ელემენტები, როგორცაა მოთელვითი ვარჯიშები და ბოლო პერიოდში აქტუალური გონებრივი ტიპების ცნება. მოცემულ ნაწილში საუბარია სუგესტოპედიური მეთოდის ფარგლებში გამოყენებული ბაროკოს ჟანრის მუსიკასა და მისი მეშვეობით ტვინში გენერირებული ალფა სიხშირის ბგერების გავლენაზე დასწავლის პროცესზე.

მოცემულია ტერმინთა განმარტება, სიტყვათა ჯგუფები, ლექსიკური მარაგის ცოდნის დონეები და მათი დასწავლის მეთოდოლოგია. რადგანაც საკითხი ეხება ლექსიკური მარაგის დასწავლას, სიტყვები განხილულ უნდა იქნან შესაბამის ცნებებთან კავშირში. საჭიროა აგრეთვე ლექსიკური მარაგის ათვისების პროცესისა და მექანიზმის განმარტებაც. ასევე, მოცემულია მცდელობა დადგინდეს კორელაცია ლექსიკური მარაგის ცნობიერებაში შენახვის ხანგრძლივობასა და ლექსიკური მარაგის ათვისების მეთოდოლოგიას შორის.

მახსოვრობის ფენომენის განმარტების შემდეგ გაანალიზებულია კორელაცია ლექსიკურ მარაგსა და დავიწყება-ათვისებას შორის. დეტალურადაა განმარტებული, თუ როგორ ხდება მეხსიერებაში კოდირებული ინფორმაციის დაკარგვა თუ დავიწყება და რომელი ფაქტორები ახდენენ გავლენას აღნიშნულ კოგნიტურ პროცესებზე. მოცემულია ვრცელი ინფორმაცია ლექსიკური მარაგის ათვისების პროცესში ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ, როგორებიცაა

დასწავლა, დამახსოვრება, მნიშვნელობა, დავიწყება. ნაჩვენებია, რომ ლექსიკური მარაგის ათვისება არა მარტივი დასწავლის აქტი, არამედ კომპლექსური აღქმითი პროცესია რომელიც მრავალ კოგნიტურ ასპექტს მოიცავს.

ნაშრომში მოცემულია ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებული წინა ნაშრომების მიმოხილვა. ნაჩვენებია ისიც, თუ რომელი თეორიის რომელი სუსტი მხარე შეავსო სუგესტოპედიის მეთოდმა. მთავარი აქცენტი კეთდება კომუნიკაციაზე, როგორც ენის სწავლების უმთავრეს კომპონენტზე.

გაანალიზებულია ლექსიკური მარაგის სწავლების ევოლუციის პროცესი ლარსენ-ფრიმენის (Larsen-Freeman, 2014) მიერ შემუშავებული ენის სწავლების მეთოდების მიხედვით. აღნიშნულია, რომ გრამატიკის წესებზე ორიენტირებული ლექსიკური მარაგის ათვისების პროცესი იწყება მეტყველება-აღქმით, გრძელდება მოსმენა-აღქმით და სრულდება (ვერბალური) კომუნიკაციით. შემდგომია თარგმნის მეთოდით დაწყებული და სმენითი-მეტყველებითი პრაქტიკული სავარჯიშოებით გაგრძელებული ფაზა. ნაშრომში მოცემულია სუგესტოპედიისა და სხვა მეთოდების მიდგომები ლექსიკური მარაგის ათვისების პროცესისადმი.

სუგესტოპედიურ მეთოდთან დაკავშირებული მოსაზრებები და ჰიპოთეზები ემყარება სფეროში არსებულ შესაბამის ნაშრომებს.

თავი II

კვლევის მეთოდი

კვლევის რაოდენობრივი მეთოდი გამოიყენება მოვლენათა შორის ურთიერთმიმართების გამოვლენის მიზნით. თვისობრივი კვლევის მეთოდი კი მიმართავს ინდივიდთა ქცევასა და გამოცდილებებზე დაკვირვების საშუალებას. ხარისხობრივი კვლევის ფარგლებში კვლევა ტარდება საკვლევი პრობლემატიკის ირგვლივ, რაოდენობრივი კვლევისას კი ფოკუსირება ხდება თავად საკვლევ

კითხვაზე. რაოდენობრივი კვლევა, როგორც წესი მიზნად ისახავს გარკვეულ საზღვრებში მოქცეული სხვადასხვა ჯგუფების საერთო და განსხვავებული თვისებების გამოვლენას. ხარისხობრივი კვლევა კი ეფუძნება აბსტრაქტული ცნებებით ოპერირებას. მის ფარგლებში ფოკუსირება ხდება ინდივიდთა ქცევაზე, დისკურსზე და წერილობითი წყაროების ანალიზზე. მოცემლ ნაშრომში გამოყენებული იქნება ორივე ტიპის კვლევის მეთოდოლოგია. გარდა ამისა, გამოყენებულ იქნება წინარე და კვლევის შემდგომი ტესტებიც.

კვლევის საგანი და სემპლინგი

კვლევის ობიექტს წარმოადგენენ უნივერსიტეტებში მოსამზადებელ საფეხურზე მყოფი თურქულის მსწავლელი უცხოელი სტუდენტები. კვლევა ჩატარდა ფათიჰის უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსებზე მოსწავლე 18 ეროვნების 26 სტუდენტზე.

ლიმიტაციები

კვლევის ლიმიტაციაა ფათიჰის უნივერსიტეტის მოსამზადებელი ენის კურსებზე მოსწავლე მხოლოდ 26 სტუდენტთან მიმართებაში კვლევის ჩატარება. კვლევისათვის აუცილებელი სივრცის მომზადება და კვლევის ობიექტების გამოყოფა არის კიდევ ერთი შეზღუდვა კვლევის ფარგლებში. კვლევაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა წაკითხვა, მოსმენა და მეტყველების კომპეტენციებზე. იქედან გამომდინარე, რომ კვლევა განხორციელდა 15 საათის ფარგლებში, ვერ მოხერხდა წერილი კომპეტენციის კუთხით სუგესტოპედიის მეთოდის ეფექტურობის შესწავლა, თუმცა, მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიზღია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მეთოდოლოგია ეფექტური იქნება აგრეთვე წერილი კომპეტენციის განვითარების კუთხითაც.

კიდევ ერთ შეზღუდვას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 15 საათის განმავლობაში დაგეგმილ იქნა 206 სიტყვის დასწავლა. ევროკავშირის საერთო ლინგვისტური რეგულაციების მიხედვით უცხო ენების სწავლების საწყის საფეხურებზე (A1 ve A2) საერთო ჯამში სწავლებას უნდა დაეთმოს 200 საათი. მილტონის (Milton, 2006)

მიხედვით საწყის ეტაპზე ინგლისური ენის სწავლებისას უნდა ხდებოდეს 1500, ბერძნულის სწავლებისას 850, ხოლო ფრანგულის სწავლებისას კი 1000 სიტყვის დასწავლა.

იქედან გამომდინარე, რომ არ არსებობს თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას დასასწავლ სიტყვათა რაოდენობის შესახებ რაიმე სახის ნაშრომი, ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ორი წყაროთი, ესენია: პრინსტონის უნივერსიტეტში მომზადებული 1120 სიტყვის შემცველი დაწყებითი საფეხურის სიტყვათა სია (<http://www.princeton.edu/~turkish/aatt/vocablist.htm>) და “Lale 1 Türkçe Ders Kitabı“ დასახელებს თურქულენოვანი წყარო (Akçay, 2011).

კვლევის ჩატარების მიზნით ფათიჰის უნივერსიტეტის შერჩევა მოხდა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტში სწავლობენ სტუდენტები მსოფლიოს 96 ქვეყნიდან. შერჩეულ იქნა 18 ეროვნების 26 სტუდენტი რომლების გადანაწილდნენ 2 საექსპერიმენტო ჯგუფში.

სასწავლი მასალა დაყოფილ იქნა 4 ძირითად თემატიკად. კვლევის ლიმიტაციებიდან ერთერთს სწორედ ის გარემოებაც წარმოადგენს, რომ სასწავლი მასალა მოიცავდა მხოლოდ 4 თემატიკას.

მკვლევარის მიერ კვლევის ჩასატარებლად მოთხოვნილ იქნა ჯამში 25 საათი, თუმცა, ენის ცენტრის მენეჯმენტის მიერ აღნიშნული კვლევის ჩატარების მიზნით გამოყოფილ იქნა 15 საათი.

ლექსიკური მარაგის შერჩევა მოხდა შემდეგი სახით: შერჩა 4 თემატიკა ორი თურქული ენის სახელმძღვანელოდან (Lale 1 Ders Kitabı ve Ebru 1 ve 2 ders kitapları) და დაურიგდათ მოსწავლეებს. მოსწავლეებმა შემოხაზეს ის სიტყვები, რომლებიც მათ უკვე იცოდნენ. მკვლევარმა ამის მიხედვით შეარჩია დასასწავლი სიტყვები რომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 206.

არ არის ცნობილი, იყო თუ არა მოსწავლეთა ინგლისური ცოდნის დონეები ერთმანეთის იდენტური. შესაბამისად, უცნობია, ყველა მოსწავლემ აითვისა თუ არა თითოეული თურქული სიტყვა თავისი ინგლისური ექვივალენტის მეშვეობით.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

მონაცემთა ანალიზის მიზნით გამოყენებულ იქნა ექსპერტის მიერ წინასწარ მომზადებული ტესტების სისტემა. აღნიშნული ტესტები, რომელთა მეშვეობითაც იზომება ლექსიკური მარაგის დასწავლის ხარისხი, წარმოადგენენ კვლევის უმთავრეს ფაზას. მონაცემთა დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა SPSS-ის სტატისტიკური პროგრამა. მონაცემთა შეჯამების შემდეგ ისინი გაანალიზებულია შესაბამისი მეთოდის მიხედვით.

კვლევის ჩარჩო

სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენებით თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების საწყოს საფეხურზე ლექსიკური მარაგის ათვისების კუთხით მეთოდის ეფექტურობის ხარისხის დადგენის მიზნით გამოყენებულ იქნა ბოლო ტესტი. რადგანაც კვლევაში მონაწილე მოსწავლეები ჯგუფებში გადანაწილებულ იქნენ ენის კურსებზე მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით, კვლევის ჩარჩოს შედგენა მოხდა intact-class კვლევის ჩარჩოზე დაფუძნებით. აღნიშნული კვლევის ჩარჩოს მეთოდთან დაკავშირებით ჰეტჩი და ფარჰადი (Hatch ve Farhady, 1982) შემდეგი სახის ცნობებს იძლევიან:

აღნიშნული ჩარჩო გამოიყენება რიგი მკვლევარების მიერ. განსაკუთრებით ენის შემსწავლელ ჯგუფებში მოსწავლეთა შემთხვევითი შერჩევის გამო აუცილებელია წინასწარ განსაზღვრული გარკვეული სახის კრიტერიუმების დადგენა (მისაღები გამოცდის შედეგები, ენის ცოდნის დონე...).

ჯგუფების ჰომოგენურობის შენარჩუნების მიზნით ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა სქესისა და ენის ცოდნის დონეების მიხედვით გადანაწილების პრინციპებს. ფათიჰის უნივერსიტეტში 2 ჯგუფის შერჩევა მოხდა შემთხვევითი

შერჩევის საფუძველზე, რომელთაგანაც ერთი იყო საექსპერიმენტო ჯგუფი რომელშიც გამოიყენებოდა სწავლების სუგესტოპედიის მეთოდის, ხოლო მეორეში კი სწავლების ტრადიციული მიდგომა.

მკვლევარის მიერ შესაბამისი ნებართვის აღების შემდეგ ჩასატარებელი კურსის ხანგრძლივობა განისაზღვრა 15 საათის ოდენობით. კურსის ჩატარების მიზნით შერჩეულ იქნა კვალიფიციური ენის ინსტრუქტორი (Bass, 1985).

ზემოთ ხსენებული თურქული ენის სახელმძღვანელებიდან მასალა შეირჩა და მომზადდა სუგესტოპედიის მეთოდის მიხედვით და მიეწოდა საექსპერიმენტო ჯგუფს. გარდა ზემოთ აღნიშნული სახელმძღვანელებისა გამოყენებულ იქნა სხვა თურქულენოვანი წყაროებიც (Sevgi Dili Temel Seviye kitabı, 1-2 ve Hitit Türkçe Ders Kitabı, İstanbul Türkçe Ders Kitabı Temel Seviye kitabı). თურქული ენის შესწავლის ცენტრიდან შესაბამისი ნებართვის აღების შემდეგ ზემოთ ხსენებული წყაროებიდან მომზადდა 4 ძირითადი თემატიკა. ესენია: საკვები-სასმელი, ცხოველები, პროფესიები, ტანსაცმელი. ამ თემატიკის ირგვლივ შეირჩა 206 სიტყვა. აღნიშნული მასალა გადანაწილდა 15 საათიანი კურსის ფარგლებში.

საექსპერიმენტო ჯგუფის საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით და უზრუნველყოფილი იყო კომფორტული გარემო. საკონტროლო ჯგუფში კი გამოყენებულ იქნა მხოლოდ სახელმძღვანელო და შესაბამისი აქტივობები სწავლის პროცესში. ორივე ჯგუფში კურსის ინსტრუქტირება მოახდინა მკვლევარმა. განვლილი თითოეული საფეხურის შემდეგ მიწოდებული ლექსიკური მარაგის აღქმის დონის დადგენის მიზნით ჩატარდა ტესტები. იდენტური ტესტები ჩატარდა ორივე ჯგუფს. კურსის ბოლოს ჩატარდა შემაჯამებელი ტესტი. 15 საათიანი კურსი გადანაწილდა 3 დღის მანძილზე, დღესი 5 საათის განმავლობაში. ტესტები მომზადდა იდენტური ფორმით ორივე ჯგუფისთვის.

მკვლევარის მიერ მიწოდებულ იქნა 4 თემატიკა, 4 განსხვავებული ტიპის ტესტით. ტესტები შემდეგი სახისაა:

1. სიტყვების მისადაგება სურათებთან (Test 1)
2. სურათებდართული სიტყვების თურქული შესატყვისების დაწერა (Test 2)
3. წარდგენილი ლექსიკური ერთეულების ამოცნობა (Test 3)
4. დასწავლილ თემატიკასთან დაკავშირებული 20 მრავალკითხვიანი ტესტი (Test 4)

ცდისპირები

ცდისპირებად შერჩეულ იქნენ ფათიჰ-ის უნივერსიტეტის თურქული ენის მოსამზადებელი კურსის 2 ჯგუფის 26 მოსწავლე. ცდისპირები თანაბარი რაოდენობით იქნენ განაწილებულნი. მათი შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპის მიხედვით. მოსწავლეთა ჯამური სატესტო ქულა იყო 88. მათი ასაკი მერყეობდა 17-დან 35-ის ჩათვლით. მოსწავლეები ზოგადად სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლის მიზნით თურქეთსი შემდეგი ქვეყნებიდან იყვნენ ჩასული: ავღანეთი, ერაყი, ყაზახეთი, კოსოვო, ზამბია, ნიგერია, ნიგერი, რუსეთი, ალბანეთი, მოროკო, სამხრეთ აფრიკა, სირია, თურქმენეთი, ჩინეთი, იემენი, მალი, ინდონეზია, მონღოლეთი.

მკვლევარის მიერ კურსს დაეთმო 15 საათი. ჩატარდა 90 წუტიანი გაკვეთილები. საერთო ჯამში ორივე ჯგუფს ჩაუტარდა 15 საათიანი კურსი.

კურსის მასალების მომზადება

მკვლევარის მიერ მომზადდა მასალა იმ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, რომელსაც იყენებდა უნივერსიტეტის ენათა ცენტრი. სახელმძღვანელო შედგება 8 ნაწილისგან. პირველ საფეხურზე ისწავლება A1 საფეხურის 1 და 2 ნაწილები. მკვლევარმა პირველი და მეორე ნაწილებიდან შეარჩია 4 თემატიკა საიდანაც შეადგინა 206 სიტყვიანი სია.

საექსპერიმენტო ჯგუფისათვის მკვლევარის მიერ მომზადდა დამატებითი მასალები. თითოეულ თემატიკასთან მიმართებაში გამოყენებულ იქნა სუგესტოპედიის მეთოდის მიხედვით მომზადებული აუდიო და ვიზუალური მასალები შესაბამისი პოსტერების დართვით. გარდა ამისა, გამოყენებულ იქნა ასათვისებელი ლექსიკური მასალის შემცველი სლაიდები, სავარჯიშოები, თამაშები და კროსვორდები. ამასთანავე გამოყენებულ იქნა თითოეულ თემატიკასთან მისადაგებული სიმღერებიც. აღნიშნული სასწავლი მასალის მომზადების მიზნით გამოყენებულ იქნა შემდეგი თურქული ენის სახელმძღვანელოები: Hitit Türkçe Ders kitabı (2002), Lale Türkçe Ders kitabı, Sevgi Dili Türkçe Ders kitabı (Öztürk, 2010), İstanbul Türkçe Ders kitabı (Akt. Okur, 2013), İzmir Türkçe ders kitabı. ჩამოთვლილი სახელმძღვანელოებიდან აღებული მასალები შეესაბამება სუგესტოპედიის მეთოდის ზოგად პრინციპებს.

თემატიკის მიხედვით ლექსიკური მარაგის შერჩევის შემდეგ მკვლევარის მიერ მასალა მომზადდა სუგესტოპედიის მეთოდის მიხედვით. გარდა ლექსიკური მასალისა მკვლევარი არ შეხებია სწავლების სხვა სფეროებს. კურსის პირველ გაკვეთილზე მოსწავლეებს მიეწოდათ ზოგადი ინფორმაცია ლოზანოვის (2009) მიერ შემუშავებული სწავლების მეთოდთან დაკავშირებით თუმცა, მოსწავლეებს არ ეცნობათ იმის შესახებ, რომ ისინი შერჩეულ იყვნენ, როგორც ესპერიმენტული ჯგუფის ცდისპირები.

მეთოდის ფარგლებში მოსავლეებს მოეთხოვებოდათ ათვისებული მასალის წაკითხვა დღეში ორჯერ - დამინებამდე და გაღვიძების შემდეგ (Bancroft, 2005). მომზადებული სასწავლი მასალა სრული სახით დაურიგდათ მოსწავლეებს და გამოყენებულ იქნა სუგესტოპედიის მეთოდისა. მოსწავლეთათვის მიწოდებული ლექსიკური მასალა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში.

გამოყენებული მასალები

მკვლევარის მიერ მომზადებული ლექსიკური მასალა დაურიგდა მოსწავლეებს. ძირითადად შერჩულ იქნა კონკრეტული ფიზიკური ობიექტებისა და

მოქმედებების აღმნიშვნელი სიტყვები, რაც უფრო ადვილი აღსაქმელი იქნებოდა ცდისპირთა მიერ. მოსწავლეებს დაურიგდათ თითოეულ თემატიკასთან მისადაგებული სიტყვათა ბროშურები და მიეცათ შესაბამისი სავარჯიშოები.

კურსის ფარგლებში გამოყენებული ენობრივი მასალა მოცემულია შემდეგი სახით:

1. თემატიკის მიხედვით მომზადებული ვიზუალური და აუდიო კომპეტენციების ხელშემწყობი სიტყვათა ბროშურები
2. კომპიუტერი, აუდიო სისტემა და პროექტორი
3. სხვადასხვა სახელმძღვანელოებიდან შერჩეული სავარჯიშოების შემცველი სლაიდ შოუები
4. გამოყენებული სახელმძღვანელოები: Lale Türkçe Temel Seviye 1-2 kitabı, Sevgi Dili Türkçe Temel Seviye 1-2, Hitit Türkçe Temel Seviye 1 kitabı, İstanbul Türkçe Temel Seviye 1 kitabı.

კურსის ეფექტურობა გაზარდა სწავლების ისეთი სტრატეგიების გამოყენებამ, როგორცაა იუმორი, ავტორიტეტულობა, რითმა, მუსიკა, ინტონაცია; აგრეთვე, საკლასო ოთახში დასაჯდომი ადგილების მასწავლებლის გარშემო განლაგება. ლექსიკური მასალები შერჩეულ იქნა თურქული ენის სახელმძღვანელოების საწყისი საფეხურებიდან. სასწავლო მასალა მომზადდა სუგესტოპედიის პრინციპების მიხედვით და მათი გამოყენება მოხდა შემდეგი სახით.

მონაცემთა ანალიზის საშუალებები

იმის გასარკვევად, იყო თუ არა მნიშვნელოვანი ჯგუფებს შორის და ჯგუფებს შიგნით მოსწავლეთა ცოდნის დონეების შორის განსხვავება, შევისწავლეთ მათ მიერ მისაღებ გამოცდებზე მიღებული ქულები. ანალიზის შედეგები ნაჩვენებია შესაბამისი ცხრილების მეშვეობით, სადაც მოცემულია სტატისტიური შესაძლებლობისა და შესაბამისობის ხარისხები.

T-test

T-test წარმოადგენს საცდელ ჯგუფთა შორის სტატისტიკური განსხვავებების დადგენის ერთერთ მეთოდს (Büyüköztürk, 2002). როგორც წესი გამოიყენება

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შედგენილი ორი საცდელი ჯგუფის შედეგების შედარების მიზნით.

გამოიყენება სამი ტიპის ტესტირების ფორმა: ცალკე ჯგუფის T-ტესტი, შეპირისპირებული ორი ჯგუფის ტესტირება, და თითოეული ჯგუფის ცალცალკე ტესტირება. საშუალო არითმეტიკულის დადებითად ან უარყოფითად გამოყვანის შესაძლებლობას აღნიშნავენ p ნიშნით. ზოგადად, ტესტების შედეგად სტატისტიკური შესაძლებლობა (p) განისაზღვრება 0,05-ით. ამის მიხედვით მოწმდება მიღებულ შედეგთა 95 %-იანი დადებითობის ან უარყოფითობის შესაძლებლობა. ქვემოთ შევჩერდებით შეპირისპირებულ და ცალკე აღებულ ჯგუფთა T-ტესტ ანალიზებზე.

შეპირისპირებული ორი ჯგუფის ტესტირება

გამოიყენება ორი იდენტური ცდისპირის სტატისტიკურ მაჩვენებლებში რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავების გამოვლენის მიზნით. როგორც წესი, გამოიყენება წინარე და შემდგომი ტესტირების სახით. აღნიშნული ტესტირების ტიპი გამოიყენებულ იქნა საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების ქულების საშუალო მაჩვენებლებსა და კურსის შემდგომ მიღებულ შედეგებს შორის სტატისტიკური სხვაობის დადგენის მიზნით. შემოწმებულ იქნა შეპირისპირებულ და ცალკე ჯგუფთა საშუალო მონაცემთა შორის შესაბამისობის ხარისხი კურსის მსვლელობისას და დასრულების შემდეგ.

ცალკეულ ჯგუფთა ტესტირება

გამოიყენება ცალკეულ ჯგუფთა სტატისტიკურ მაჩვენებლებში რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავების გამოვლენის მიზნით. გამოიყენება კურსის შედეგად მიღებული შედეგების გამოკვლევის მიზნით. გამოიყენება შეპირისპირებულ და ცალკე ჯგუფთა საშუალო მონაცემთა შორის შესაბამისობის ხარისხის დასადგენად.

შესაბამისობის ხარისხი

განისაზღვრება ჯგუფების საშუალო სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის

შეეგად მიღებული სტატისტიკური შესაძლებლობის (P) მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუკი ჯგუფების საშუალო მაჩვენებლების ანალიზის შედეგად მიღებული სტატისტიკური შესაძლებლობის დონე 0,05-ზე მაღალია, შეიძლება ითქვას, რომ მიღებული შედეგი სტატისტიკურად რელევანტურია.

თავი III

კურსის შემდგომ მოსავლეთა ტესტირების შედეგები შეყვანილ იქნა Microsoft Excel-ში და გადაყვანილი შესაბამის ციფრებში. ტესტების შედეგები გაანალიზდა SPSS პროგრამაში შესაბამისი მაჩვენებლების გამოყვანით. საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების ტესტებს შემდგომი სტატისტიკური მაჩვენებლები გადაყვანილ იქნა შესაბამის ცხრილებში. ამასთანავე, შედეგებს თან დაერთო მონაცემები ცდისპირთა ეროვნული კუთვნილების შესახებ. ცდისპირები და მათი ეროვნული კუთვნილება მოცემულია ცხრილში 1:

ცხრილი 1. ცდისპირები და მათი ეროვნება

ყვეყანა	f	%
ავღანეთი	1	% 3.8
ერაყი	1	3.8
ყაზახეთი	1	3.8
ალბანეთი	1	3.8
კოსოვო	1	3.8
ზამბია	7	26.9
ნიგერია	3	11.5
რუსეთი	1	3.8
იემენი	1	3.8
მოროკო	1	3.8
სამხრეთ აფრიკა	1	3.8
სირია	1	3.8

თურქმენეთი	1	3.8
ჩინეთი	1	3.8
იემენი	1	3.8
მალი	1	3.8
ინდონეზია	1	7.6
მონღოლეთი	1	3.8
ჯამი	26	100.0

ის ფაქტორი, რომ კვლევაში მონაწილე საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების მოსწავლეები არიან 18 ყვეყნის წარმომადგენლები და საუბრობენ განსხვავებულ ენათა ჯგუფებს მიკუთვნებულ ენებს, წარმოადგენს აღნიშნული კვლევის მნიშვნელოვან ასპექტს. ამასთანავე, ის, რომ მოსწავლეები არიან განსხვავებულ კულტურათა ადეპტები, მოწმობს იმასაც, რომ სუგესტოპედიის მეთოდის წარმატებით გამოყენება არ არის შეზღუდული რომელიმე კონკრეტული გეოგრაფიითა თუ კულტურული სივრცით. კვლევაში მონაწილე მოსწავლეები გადანაწილდნენ ჯგუფებში ენის ცენტრში მათი მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით.

ცხრილი 2. მონაწილეთა ასაკობრივი სხვაობა

ასაკი	f	(%)
18-25	11	42.3
25-35	10	38.5
35-45	5	19.2
ჯამი	26	100.0

მონაწილეთა ასაკობრივი სხვაობის შესწავლისას ირკვევა, რომ 11 მათგანის ასაკი მერყეობს 18-25 შორის, რაც შეადგენს სრული რაოდენობის 42,3 %-ს. 10 მოსწავლის ასაკი მერყეობს 25-35 წლებს შორის, რაც შეადგენს სრული რაოდენობის 38,5 %-ს. აღნიშნული მონაცემები აჩვენებს იმას, რომ კვლევისას არ მოხდა რომელიმე კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის შერჩევა.

ცხრილი 3. საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფებში მონაწილეთა სქესი

	f	(%)
მამრობითი	10	38.5
მდედრობითი	16	61.5
ჯამი	26	100.0

მოცემული გადანაწილება სქესთა შორის მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების მათზე გავლენის დადგენის მიზნით.

ტანსაცმლის აღმნიშვნელი სიტყვების სავარჯიშოები

საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების მიერ აღებული ქულები აღნიშნულ თემატიკაში მოცემულია ცხრილ 4-ში. საექსპერიმენტო ჯგუფის საშუალო ქულითი მაჩვენებელია 95%, ხოლო საკონტროლო ჯგუფისა 7 %.

ცხრილი 4. ტანსაცმლის შესახებ ტესტი სიტყვებზე

ფი	აღენობა	ჯამი	არტული		P
			იაცია	ფ	
3.	13	95	.07	15	.00
ტრ.	13	1.53	4.63	15	.000

როგორც ცხრილში ჩანს, ჯგუფების ქულათა საშუალო მაჩვენებელი ერთმანეთისგან განსხვავდება. აღნიშნული განსხვავება გაანალიზებულ იქნა t-ტესტის მეშვეობით. ზემოთ მოყვანილი ტესტის შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ შედეგების მიხედვით გაცილებით უკეთესი პერფორმანსი აჩვენა საექსპერიმენტო ჯგუფმა ($t_{0.05: 14.63}=5.20$, $p=0.000$). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენება დადებით შედეგებს იძლევა ზემოთ აღნიშნული თემატიკის ათვისების კუთხით. მსგავსი შედეგები ფიქსირდება სხვა კვლევების შედეგადაც (Türköz, 2010). ხსენებულ კვლევაშიც სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენების შედეგად საექსპერიმენტო ჯგუფმა გაცილებით უფრო კარგი შედეგი აჩვენა ვიდრე საკონტროლო ჯგუფმა.

საკვების აღნიშვნელი სიტყვების სავარჯიშოები

საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფებში აღნიშნულ თემატიკაზე ჩატარებული ტესტების შედეგები მოცემულია ცხრილ 5-ში. საექსპერიმენტო ჯგუფის ქულების საშუალო მაჩვენებელია 94,30 %, ხოლო საკონტროლო ჯგუფისა 71,38 %.

ცხრილი 5. საჩმელების შესახებ ტესტი სიტყვებზე

ჯგუფი	ობა	უალო	არტული		df	
			კიაცია			
ექს.		4.30	5.30	7	4	0
კონტ.		1.38	9.28	7	4	0

როგორც ცხრილ 5-ში ჩანს, ჯგუფების მიერ მიღებულ ქულებში სხვაობა ფიქსირდება. საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების მიერ ტანსაცმლის თემატიკის მე-4 ტესტში მიღებული ქულების მიხედვით საექსპერიმენტო ჯგუფს გაცილებით მაღალი მაჩვენებელი უფიქსირდება ($t_{0.05; 24} = 4.07$, $p=0.00$). ტესტის შედეგები აგრეთვე მნიშვნელოვანია საექსპერიმენტო ჯგუფში სუგესტოპედიისა და მუსიკის მეთოდის ლექსიკური მარაგის ათვისების კუთხით გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეების აღმოსაჩენად. მსგავსი შედეგები ფიქსირდება სტერნსის (Stearns, 2015) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგადაც. სტერნსმა აღმოაჩინა, რომ მუსიკის მეშვეობით უცხო ენის სწავლება უფრო ეფექტურია, ვიდრე მუსიკის გარეშე სწავლების მეთოდი. სტერნსის აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანია სწავლების თანამედროვე მეთოდულ კამპანიაში მუსიკის როლის ჯეროვნად შეფასების კუთხით.

ცხოველების აღნიშვნელი სიტყვების სავარჯიშოები

საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფებში აღნიშნულ თემატიკაზე ჩატარებული ტესტების შედეგები მოცემულია ცხრილ 4.3.1-ში. საექსპერიმენტო ჯგუფის ქულების საშუალო მაჩვენებელია 93,38 %, ხოლო საკონტროლო ჯგუფისა 61,76 %.

ცხრილი 6. ცხოველების შესახებ ტესტი სიტყვებზე

უფი	ობა	უალო	ართული		df	
			კიაცია			
ქს.		3.38	1.63	21	.4	0
ნტ.1		1.76	3.95	21	.31	0

როგორც ცხრილ 6.-ში ჩანს, ჯგუფების მიერ მიღებულ ქულებში სხვაობა ფიქსირდება. საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების მიერ აღნიშნული თემატიკის ტესტში მიღებული ქულების მიხედვით საექსპერიმენტო ჯგუფს გაცილებით მაღალი მაჩვენებელი უფიქსირდება ($t_{0.05; 24} = 8.79$, $p=0.00$). მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე იკვეთება ის გარემოება, რომ კურსის ყველა საფეხურზე საექსპერიმენტო ჯგუფში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით უფრო მაღალი შედეგები იქნა მიღწეული. მიღებული შედეგები თანხვედრაშია ფარნსვორთის (Farnsworth, 1996) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებთან. ფარნსვორთმა ჩატარა კვლევა ტვინის ტრამვების მქონე პაციენტების მენტალურ შესაძლებლობებზე სუგესტოპედიის მეთოდის ეფექტის შესახებ. აღნიშნული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სუგესტოპედიის მეთოდი სწავლების ტრადიციულ მეთოდზე უფრო ეფექტურია.

პროფესიების აღნიშნული სიტყვების სავარჯიშოები

აღნიშნული ტესტის შედეგები შემდგენაირად ნაწილდება: საექსპერიმენტო ჯგუფის: 75.38 %; საკონტროლო ჯგუფის: 64.61 %.

ცხრილი 7. პროფესიების შესახებ ტესტი სიტყვებზე

უფი	ობა	უალო	ართული		df	
			კიაცია			
ქსპ.		5.38	1.09	7	.4	2
კონტ.		4.61	1.98	7	.85	2

როგორც ცხრილში ჩანს, ჯგუფების მიერ მიღებულ ქულებში სხვაობა ფიქსირდება. საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების მიერ აღნიშნული

თემატიკის ტესტში მიღებული ქულების მიხედვით საექსპერიმენტო ჯგუფს გაცილებით მაღალი მაჩვენებელი უფიქსირდება ($t_{0.05; 24} = 2.37$, $p = 0.02$). აღნიშნული შედეგები აჩვენებს სუგესტოპედიის მეთოდის ეფექტურობას პროფესიების აღმნიშვნელი ტერმინების ათვისების კუთხით.

კლეინმან-ის მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს სუგესტოპედიის მეთოდის ეფექტურობას ესპანური ენის სწავლების კონტექსტში. კლეინმანის მიერ მიღებული შედეგების მიხედვით მუსიკისა და ცეკვის მეთოდის გამოყენება სწავლების პროცესში აადვილებს მასალის აღქმადობას.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები

უცხო ენის სწავლება აღიქმება როგორც მოსაწყენი და რთული პროცესი. უცხო ენის შესწავლა, როგორც წესი ასოცირდება ბევრ სწავლასთან, დროის ხარჯვასთან და მოთმინების უნართან. ხშირ შემთხვევაში ხდება ისე, რომ ინდივიდი ხარჯავს წლებს ამა თუ იმ უცხო ენის შესწავლაზე, ხოლო შედეგად არ შეუძლია რამოდენიმე წინადადების გამართულად წარმოთქმაც კი. ამ კუთხით, ენის მასწავლებელთა უპირველესი ამოცანაა ენის შესწავლასთან დაკავშირებული არსებული უარყოფითი სტერეოტიპების დამსხვრევა და შესავლის პროცესის მიმზიდავ აქტიობად გადაქცევა. სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენებით მასწავლებლებს შეუძლიათ მიმზიდველი და საინტერესო გახადონ უცხო ენების სწავლების პროცესი. ჰარტი (Hart, 2002) სწავლების თანამედროვე გაგებას შემდეგი სახით გადმოსცემს:

“ტრადიციულ სასწავლო გარემოში მასწავლებლები მოსწავლეებს ენობრივ მასალას ლოგიკური წყობის ჩარჩოში აწოდებენ, თუმცა, როგორც ტესტების შედეგები გვიჩვენებენ, მასწავლებლის წვლილი მოსწავლეების მიერ მასალის ათვისებაში არცთუ ისე დიდია. ამის გამო ბევრი მასწავლებელი კარგავს საკუთარ

კომპეტენტურობაში თავდაჯერებულობას და ისინი საკუთარ თავს წარუმატებლად აფასებენ“.

ხსენებული მიდგომების კონტექსტში სუგესტოპედიის დადებითი როლი ნაჩვენებია როგორც მოცემულ კვლევაში, ისევე სხვა ნახსენებ ნაშრომებშიც. სუგესტოპედიის მეთოდის მეშვეობით ხდება ტვინის ორივე ნახევარსფეროს აქტივირება და პროცესში ჩართვა, რითაც უკეთესი შედეგების მიღებაა შესაძლებელი.

ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ სუგესტოპედიის მეთოდი სწავლების სხვა მეთოდებთან შედარებით მრავალ კომპონენტში გაცილებით უკეთეს შედეგებს იძლევა.

რეკომენდაციები

სუგესტოპედიის მეთოდის ფარგლებში კონცენტრირება ხდება უფრო მეტად არა იმაზე, თუ რა ისწავლება, არამედ იმაზე, თუ როგორ ისწავლება ესა თუ ის მასალა. მეთოდის წარმატებულად განხორციელების მიზნით მასწავლებლებმა დეტალურად უნდა დაგეგმონ თავიანთი სწავლების გეგმა. ვერბალურ მასალის პარალელურად გამოყენებულ უნდა იქნას სწავლების ისეთი სტრატეგიები, როგორცაა სხეულის ენა, ჟესტები და მიმიკები, რაც შესაძლებელს ხდის უფრო ეფექტურად იქნას მასალა აღქმული მოსწავლეთა მიერ. ამ მიზნით, აუცილებელია თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში აღნიშნული სტრატეგიების დანერგვა.

სუგესტოპედიის ზოგადი პრინციპები და წესები ერთმანეთთან ურთიერთკავშირში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, საერთო კონტექსტში უნდა იქნან განხილულნი სწავლების ისეთი მეთოდიკები, როგორცაა პერფორმანსები, სიმღერა, თამაშები და სხვა. ამ სახის აქტივობები წარმოადგენენ სწავლების მრავალმხრივ მეთოდიკას, რაც განსაკუთრებით ეფექტურია უცხო ენის სწავლებისას.

სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენება მოითხოვს ენათა სასწავლო პროგრამების ხელახალ ფორმულირებას. ამ კუთხით მთავარი მიზანი უნდა იყოს სწავლების მრავალმხრივი მოდელის შექმნა და შესაბამისი დანერგვა.

თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების ფარგლებში ენის ინსტრუქტორებმა თავიანთი სასწავლო პროგრამები უნდა მოამზადონ სუგესტოპედიის მეთოდის მიხედვით, რომლებშიც ინტენსიურად იქნება გამოყენებული ვიზუალური და აუდიო მასალებიც.

თურქული ენის ინსტრუქტორებმა უნდა მოიპოვონ მოსწავლეთა ნდობა.

უცხოელთათვის განკუთვნილ თურქული ენის სახელმძღვანელოებში ლექსიკური მარაგის პარალელურად მუსიკის გამოყენება გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ათვისებული მასალის დამახსოვრების ხარისხს.

მასალის მიწოდებისას მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ ხმის ტონის, შესტიკულაციისა და მიმიკის შესაბამისი რეგულაციის ხერხს, რაც გამოიწვევს მოსწავლეთა მეტ დაინტერესებას.

იმისათვის, რომ უკეთ იქნას გაგებული სუგესტოპედიის მეთოდის არსი, აუცილებელია შესაბამისი სემინარების მოწყობა, რათა ენის ინსტრუქტორებს მიეწოდოთ საბაზისო ცოდნა მეთოდთან დაკავშირებით.

უნდა ჩატარდეს შესაბამისი კვლევები სუგესტოპედიის მეთოდის გავლენის შესახებ ისეთ უნარჩვევებზე, როგორცაა მოსმენა, მეტყველება, წერა და კითხვა.

უნდა იქნას გამოკვლეული ენის სწავლებისა და სუგესტოპედიის გავლენა მოსწავლეთა მოტივაციაზე.

უნდა ჩატარდეს კვლევები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებზე სუგესტოპედიის მეთოდის გავლენის შესახებ.

უნდა ჩატარდეს კვლევები სუგესტოპედიის მეთოდის მეხსიერებასა და

მახსოვრობაზე გავლენის შესახებ.

უნდა ჩატარდეს კვლევები მოსწავლეებზე მეთოდის გავლენის შესახებ.

უნდა იქნას გამოკვლეული მასწავლებლის როლი აღნიშნული მეთოდით სწავლებისას და მისი დამოკიდებულება მეთოდთან.

პუბლიკაციების ჩამონათვალი

1. Güçlü, Bekir and Ayhan, Selim (2015). Suggestopedia in Turkish Language for Foreigners: Georgian in Practice :Georgia. International Journal of Educational Technology and Research, 1, 105-108
2. Güçlü, Bekir (2015). Suggestopedia and Its Modern Applications in Africa: Speed School Project, Canik Basari Universitesi Sosyal Bilimler Dergisi, 2, 103-109
3. Güçlü, Bekir and Yigit M. Sinan (2015). Using Text to speech software in Teaching Turkish for Foreigners: The effects of Text to Speech Software on Reading and Comprehension Abilities of African Students, IBSU Journal of Humanities, 4, 31-33